



ბ ა დ ა ვ ყ ვ ე ტ ი ლ ე ბ ა
საქართველოს სახელით

11 თებერვალი, 2011 წელი

ქ. ქუთაისი

უმსავალი ნაწილი

ქუთაისის საქალაქო სასამართლო

სასამართლოს დასახელება

მოსამართლე გოჩა აბუსერიძე

სხდომის მდივანი თეონა მოწონელიძე

მოსარჩელე

**კოორდინატორი
წარმომადგენელი
მოპასუხე
წარმომადგენელი**

ქუთაისის საქალაქო სასამართლო;
მარინე ტყეშელაშვილი;

დავის საგანი:

ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტების ბათილად ცნობა და ქმედების განხორციელების მოპასუხეზე დავალდებულება;

აღწერილობითი ნაწილი

1. სასარჩელო მოთხოვნა

- 1.1. დაზუსტებული სასარჩელო მოთხოვნის მიხედვით: ბათილად იქნას ცნობილი 2010 წლის 29 ოქტომბრის №4760 ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი;
- 1.2. ბათილად იქნას ცნობილი 2010 წლის 22 დეკემბრის №5796 გადაწყვეტილება ადმინისტრაციული საჩივრის განუხილველად დატოვების შესახებ;
- 1.3. დაევალოს ქუთაისის საქალაქო სასამართლოს ქმედების განხორციელება, კერძოდ გასცეს შემდეგი სახის საჯარო ინფორმაცია:

- 2010 წელში 9 თვის პერიოდში რამდენ შემთხვევაში დაკმაყოფილდა სასამართლოს მიერ მხარეთა მხრიდან დაყენებული შუამდგომლობები (საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 47-48-ე მუხლების საფუძველზე) სახელმწიფო ბიუჯეტში სასამართლო ხარჯების გადახდისაგან, მთლიანი ან ნაწილობრივი გათავისუფლების, თანხის გადახდის გადავადების ან შემცირების შესახებ.

- 2010 წელში 9 თვის პერიოდში რამდენ შემთხვევაში დაკმაყოფილდა მთლიანად სასარჩელო მოთხოვნა ადმინისტრაციულ ორგანოთა მიმართ შეტანილ სარჩელებზე.

მოსარჩელის წარმომადგენლების განმარტებით, 2010 წლის 21 ოქტომბერს მიმართეს ქუთაისის საქალაქო სასამართლოს საჯარო ინფორმაციის გაცემის მოთხოვნით, რაზეც ეთქვათ უარი იმ მოტივით, რომ სათანადო ინფორმაციის მონაცემების მოპოვებისათვის საჭიროა სასამართლო რესურსების აპარატის მობილიზება, რაც იმ ეტაპზე არ წარმოადგენდა სასამართლო საქმიანობისათვის აუცილებელ საჭიროებას. აღნიშნულს საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მესამე თავის უხეშ დარღვევად მიიჩნევს და ითხოვს ინფორმაციის გაცემაზე უარის თქმის შესახებ ინდივიდუალურ-ადმინისტრაციულ სამართლებრივი აქტების ბათილად ცნობას და მოთხოვნილი ინფორმაციის გაცემის მოპასუხეზე დავალდებულებას (იხ. ს.ფ. 2-5 და სხდომის ოქმი);

2. მოპასუხის პოზიცია

2.1. ქუთაისის საქალაქო სასამართლოს წარმომადგენელმა სარჩელი არ ცნო და განმარტა, რომ მოსარჩელის მიერ მოთხოვილი საჯარო ინფორმაცია განცხადების წარდგენის დროისათვის არ იყო დამუშავებული, მის გასაცემად დამუშავება მოითხოვდა დიდ დროს და იგი შეაფერხებდა სასამართლოს საქმიანობას, რაც გამოიწვევდა იმ მოქალაქეთა უფლებების დარღვევას, რომლებმაც მიმართეს სასამართლოს კანონიერი ინტერესების დასაცავად. ამასთან აღნიშნა, რომ განცხადების მომართვის დროისათვის ქუთაისის საქალაქო სასამართლოს გაუერთიანდა ბაღდათის, ტყიბულის და წყალტუბოს სასამართლოები, რის გამოც მიმდინარეობდა სასამართლო აპარატის ჩამოყალიბება და სასამართლოს არ გააჩნდა იმ დროისათვის საკმარისი რესურსი მოსარჩელის მოთხოვნის დასაკმაყოფილებლად; ამასთან განმარტა, რომ საჯარო ინფორმაციის სახით მოთხოვილი სტატისტიკური მონაცემების ნაწილი დამუშავების შემდეგ გადასცა მოსარჩელეს, ხოლო სახელმწიფო ბაჟებთან დაკავშირებით მოთხოვილი ინფორმაციის დამუშავება მოცემული ეტაპისთვის შეუძლებლად მიიჩნია საქმეთა სიმრავლის და მათი ნაწილის გასაჩივრების გამო ზემდგომ სასამართლო ინსტანციებში არსებობის მოტივით (იხ. ს.ფ. 34-38 და სხდომის ოქმი);

3. ფაქტობრივი გარემოებები

3.1. უდავო ფაქტობრივი გარემოებები

3.2. დადგენილი სადავო ფაქტობრივი გარემოებები

3.2.1. დადგენილია, რომ 2010 წლის 21 ოქტომბერს განცხადებით მიმართა ქუთაისის საქალაქო სასამართლოს

და საჯარო ინფორმაციის სახით მოითხოვა: ა) 2010 წელში 9 თვის პერიოდში რამდენ შემთხვევაში დაკმაყოფილდა სასამართლოს მიერ მხარეთა მხრიდან დაყენებული შუამდგომლობები (საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 47-48-ე მუხლების საფუძველზე) სახელმწიფო ბიუჯეტში სასამართლოს ხარჯების გადახდისაგან, მთლიანი ან ნაწილობრივი გათავისუფლების, თანხის გადახდის გადავადების, ან შემცირების შესახებ; ბ) რამდენ შემთხვევაში დაკმაყოფილდა მთლიანად სასარჩელო მოთხოვნა ადმინისტრაციულ ორგანოთა მიმართ შეტანილ სარჩელებზე; გ) საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 510-ე და 511-ე მუხლების თანახმად გამოტანილ გამამართლებელ განაჩენთა რაოდენობა, რომლითაც მთლიანად შეწყდა პირის მიმართ სისხლის სამართლის საქმე; დ) რამდენ შემთხვევაში ეთქვა უარი სასამართლოს მიერ პროკურორს აღკვეთის ღონისძიების სახით დაპატიმრების შეფარადების შესახებ შუამდგომლობის დაკმაყოფილებაზე;

სასამართლო ეყრდნობა შემდეგ მტკიცებულებებს:

– მხარეთა ახსნა-განმარტებები (იხ. სხდომის ოქმი);

–

2010 წლის 21 ოქტომბრის განცხადება (იხ.

ს.ფ. 11);

– ქუთაისის საქალაქო სასამართლოს კანცელარიისა და მოქალაქეთა მისაღები განყოფილების უფროსის მ/შემსრულებლის მარინე ტყეშელაშვილის 2010 წლის 29 ოქტომბრის №4760 წერილი (იხ. ს.ფ. 12).

3.1.2. დადგენილია, რომ 2010 წლის 04 თებერვლის სასამართლოს სხდომაზე მოპასუხე მხარის წარმომადგენლის მიერ წარმოდგენილი წერილით მოსარჩელეს მიეწოდა ინფორმაცია საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 510-ე და 511-ე მუხლების თანახმად გამოტანილ გამამართლებელ განაჩენთა რაოდენობის, აღკვეთის ღონისძიების სახით დაპატიმრების შეფარადების შესახებ პროკურორის შუამდგომლობის არდაკმაყოფილების და ადმინისტრაციულ ორგანოთა მიმართ შეტანილი სარჩელების დაკმაყოფილების თაობაზე;

ასასამართლო ეყრდნობა შემდეგ მტკიცებულებებს:

– მხარეთა ახსნა-განმარტებები (იხ. სხდომის ოქმი);

– წერილობითი ინფორმაცია (იხ. ს.ფ. 71).

სამოტივაციო ნაწილი

4. შემაჯამებელი სასამართლო დასკვნა

სარჩელის განხილვის, მხარეთა ახსნა-განმარტებების მოსმენის, მათი წარმომადგენლების სამართლებრივი პოზიციის გაანალიზებისა და დადგენილი ფაქტობრივი გარემოებების სამართლებრივი შეფასების საფუძველზე სასამართლო მიიჩნევს, რომ

სარჩელი არ უნდა

დაკმაყოფილდეს.

5. კანონები, რომლებითაც სასამართლომ იხელმძღვანელა

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-2, 27-ე, 35-ე, მე-40, 43-ე მუხლები.

„საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს კანონი;

საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს 2007 წლის 29 აგვისტოს 1/158-2007 და 2010 წლის 29 ნოემბრის №1/232 გადაწყვეტილებები.

6. სამართლებრივი შეფასება

6.1. სასამართლო აღნიშნავს, რომ სასარჩელო მოთხოვნებიდან ადმინისტრაციულ ორგანოთა მიმართ არსებულ სარჩელებთან დაკავშირებით მოსარჩელის ინტერესი სასამართლო სხდომაზე გადაცემული ინფორმაციის გათვალისწინებით სრულად იქნა დაკმაყოფილებული და ამდენად ამ ინფორმაციის გაცემის კვლავ მოპასუხეზე დავალდებულების მოთხოვნა სამართლებრივ საფუძველსაა მოკლებული; ხოლო რაც შეეხება სასარჩელო მოთხოვნას სახელმწიფო ბაჟებთან დაკავშირებით, სასამართლო განმარტავს შემდეგს:

სიტყვა "ინფორმაცია" მომდინარეობს ლათინური სიტყვისაგან ("informatio") და განმარტებას, შეტყობინებას, რაიმე მდგომარეობის, მომხდარი ამბის, ვისიმე მოღვაწეობის ცნობებას ნიშნავს. ინფორმაცია არის ცნობები იმ პირების, ობიექტების, ფაქტების, მოვლენებისა და პროცესების შესახებ, რომელთა მოძიებასაც ვახდენთ საჭიროების შემთხვევაში და მათი აქტუალურობა ინფორმაციის შემგროვებელი პირის სუბიექტურ დამოკიდებულებაში გამოიხატება.

საჯარო ინფორმაცია კი ეს არის ისეთი სახის მონაცემების ერთობლიობა, რომლის საჯაროობა, საქვეყნოობა, ღიაობა და ხელმისაწვდომობა გარანტირებულია სახელმწიფოს მიერ გარდა კანონით გათვალისწინებული შეზღუდვებისა, რაც კერძო და საჯარო ინტერესთა პროპორციულობის გათვალისწინებით ემსახურება სახელმწიფო უშიშროების ან საზოგადოებრივი უსაფრთხოების უზრუნველყოფას, ჯანმრთელობის, სხვათა უფლებებისა და თავისუფლებების დაცვას.

საჯარო ინფორმაციის ლეგალურ დეფინიციას იძლევა ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-2 მუხლის „მ“ ქვეპუნქტი, რომლის შესაბამისად, საჯარო

ინფორმაცია არის ოფიციალური დოკუმენტი (მათ შორის, ნახაზი, მაკეტი, სქემა, ელექტრონული ინფორმაცია...) ანუ საჯარო დაწესებულებაში დაცული, აგრეთვე საჯარო დაწესებულებაში ან მოსამსახურის მიერ სამსახურებრივ საქმიანობასთან დაკავშირებით მიღებული, დამუშავებული, შექმნილი ან გაგზავნილი ინფორმაცია.

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 43-ე მუხლის „ა“ ქვეპუნქტის თანახმად, საჯარო დაწესებულება ვალდებულია შეაგროვოს, დაამუშაოს და შეინახოს მხოლოდ ის მონაცემები, რომელთა შეგროვების უფლებას მას პირდაპირ და უშუალოდ ანიჭებს კანონი და რომლებიც აუცილებელია ამ საჯარო დაწესებულების მიერ საკუთარ უფლებამოსილებათა განსახორციელებლად.

ამავე კოდექსის 27-ე მუხლის „ზ“ ქვეპუნქტის შესაბამისად, საჯარო მონაცემთა ბაზა არის საჯარო დაწესებულების ან საჯარო მოსამსახურის მიერ სისტემურად შეგროვებული, დამუშავებული და შენახული მონაცემები;

ამდენად, ცალსახაა, რომ საჯარო ინფორმაცია დაცული და დამუშავებული უნდა იყოს საჯარო დაწესებულებაში, ამასთან, განმცხადებელზე გასაცემ საჯარო ინფორმაციას განეკუთვნება მხოლოდ ის ინფორმაცია, რომელიც საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 35-ე მუხლის შესაბამისად, საჯარო დაწესებულების მიერ სავალდებულო წესით შეიტანება ამ დაწესებულებაში არსებულ საჯარო ინფორმაციის საჯარო რეესტრში.

სასამართლო მიუთითებს, რომ საჯარო ინფორმაციის გაცემის წესი რეგლამენტირებულია აღნიშნული საკანონმდებლო აქტის მე-40 მუხლში, რომლის პირველი ნაწილი ადგენს, რომ საჯარო დაწესებულება ვალდებულია გასცეს საჯარო ინფორმაცია დაუყოვნებლივ ან არა უგვიანეს 10 დღისა, თუ საჯარო ინფორმაციის მოთხოვნაზე პასუხის გაცემა მოითხოვს: ა) სხვა დასახლებულ პუნქტში არსებული მისი სტრუქტურული ქვედანაყოფიდან ან სხვა საჯარო დაწესებულებიდან ინფორმაციის მოძიებასა და დამუშავებას; ბ) მნიშვნელოვანი მოცულობის ერთმანეთთან დაუკავშირებელი ცალკეული დოკუმენტების მოძიებასა და დამუშავებას; გ) სხვა დასახლებულ პუნქტში არსებულ მის სტრუქტურულ ქვედანაყოფთან ან სხვა საჯარო დაწესებულებასთან კონსულტაციას.

სასამართლო განმარტავს, რომ საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-40 მუხლის, როგორც ცალკე აღებული ნორმის სიტყვასიტყვითი გაგება არ შეიძლება დასახელებული კოდექსის მესამე თავიდან გამოცალკავებულად და მისი განმარტება უნდა მოხდეს ამ თავში მოცემულ სხვა ნორმებთან ერთობლიობაში. ამ მიმართებით სასამართლო განმარტავს, რომ ადმინისტრაციულ ორგანოსაგან მოთხოვილი ინფორმაციის გაცემა უნდა შეესაბამებოდეს გონივრულობას და მოთხოვილი დაუმუშავებელი ინფორმაციის რაოდენობა პროპორციული უნდა იყოს ადმინისტრაციული ორგანოს ადამიანურ რესურსთან. აღნიშნულის საწინააღმდეგო განმარტება კი შეუძლებელს გახდიდა ადმინისტრაციული ორგანოს ნორმალურ ფუნქციონირებას. ამ მიმართებით

სასამართლო აღნიშნავს, რომ მოსარჩელის მიერ მითითებული მოთხოვნის (სახელმწიფო ბაჟთან დაკავშირებით) შესრულებისათვის აუცილებლობას წარმოადგენდა სასამართლოს არქივში და სასამართლო კანცელარიაში არსებული სამოქალაქო და ადმინისტრაციული საქმეების შესწავლა, ასევე გასაჩივრებული და შესაბამისად, ზემდგომი ინსტანციის სასამართლოებში გაგზავნილი საქმეების მოძიება და დამუშავება, მათი აღრიცხვა და სისტემატიზაცია, შესაბამისი ნუსხის შედგენა და ეს იმ ვითარებაში, როდესაც ამგვარი საქმეების რიცხვი მოსარჩელის მიერ მოთხოვნილი პერიოდის და ქუთაისის საქალაქო სასამართლოს დატვირთულობის გათვალისწინებით წარმოადგენდა საკმაო რაოდენობას. სრულიად აშკარაა ისიც, რომ აღნიშნული მოცულობის სამუშაოს შესრულებას ვერ შეძლებს მხოლოდ საჯარო ინფორმაციის ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფაზე პასუხისმგებელი საჯარო მოსამსახურე და საჭირო გახდება შესაბამისი სამუშაო ჯგუფის შექმნა, აღნიშნული ჯგუფი კი ბუნებრივია უნდა დაკომპლექტდეს სასამართლოში დასაქმებული მოხელეებით, ეს კი უპირობოდ გულისხმობს სასამართლოს ნორმალურ ფუნქციონირებაზე ხელის შეშლას, რაც გამოიწვევდა იმ მოქალაქეთა უფლებების დარღვევას, რომლებმაც მიმართეს სასამართლოს კანონიერი ინტერესების დასაცავად.

„საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს კანონის, „თბილისისა და ქუთაისის სააპელაციო სასამართლოების, რაიონული (საქალაქო) სასამართლოების აპარატების სტრუქტურისა და საშტატო ნუსხის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს როგორც სადავო პერიოდში მოქმედი 2007 წლის 29 აგვისტოს 1/158-2007 გადაწყვეტილების, ისე ამჟამად მოქმედი 2010 წლის 29 ნოემბრის №1/232 გადაწყვეტილების შესაბამისად, კონკრეტულადაა განსაზღვრული ქუთაისის საქალაქო სასამართლოს მოხელეთა რაოდენობა და ფუნქციები. აღნიშნული რაოდენობა განსაზღვრულია სასამართლოს ძირითადი, ანუ მართლმსაჯულების განხორციელების ფუნქციიდან გამომდინარე და სასამართლოს ადამიანური რესურსის მობილიზება მხოლოდ მოსარჩელის მოთხოვნაზე, ავტომატურად გულისხმობს ქუთაისის საქალაქო სასამართლოს მიერ მართლმსაჯულების სათანადოდ განხორციელებლობას. სასამართლო კვლავ მოიხმობს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-2 მუხლის „მ“ ქვეპუნქტს, რომლიც იძლევა საჯარო ინფორმაციის განმარტებას. ხსენებული ნორმის ანალიზი ცხადყოფს, რომ საჯარო ინფორმაცია დაცული უნდა იყოს საჯარო დაწესებულებაში, ამასთან, მისი იმ სახით მოძიებისა და შექმნის ვალდებულება უნდა გააჩნდეს კონკრეტულ საჯარო დაწესებულებას. მოსარჩელე ვერ ასახელებს იმ სამართლებრივ ნორმას, რომელიც სასამართლოს დაავალდებულებდა მის მიერ მოთხოვილი, არაგონივრული რაოდენობის ინფორმაციის ამ სახით დამუშავებასა და მიწოდებას.

6.2. საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 32-ე მუხლის პირველი ნაწილის შესაბამისად, ამ კოდექსის 22-ე მუხლში აღნიშნულ სარჩელთან დაკავშირებით სასამართლო უფლებამოსილია გამოიტანოს გადაწყვეტილება ადმინისტრაციული აქტის ბათილად ცნობის შესახებ თუ

ადმინისტრაციული აქტი ეწინააღმდეგება კანონს და ის პირდაპირ და უშუალო (ინდივიდუალურ) ზიანს აყენებს მოსარჩელის კანონიერ უფლებას, ან ინტერესს ან უკანონოდ ზღუდავს მას. საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 33¹ მუხლის მიხედვით, თუ ადმინისტრაციული ორგანოს მიერ რაიმე მოქმედების განხორციელება ან უარი რაიმე მოქმედების განხორციელებაზე უკანონოა და ის პირდაპირ და უშუალო (ინდივიდუალურ) ზიანს აყენებს მოსარჩელის კანონიერ უფლებას ან ინტერესს, სასამართლო ამ კოდექსის 24-ე მუხლში აღნიშნულ სარჩელთან დაკავშირებით გამოიტანს გადაწყვეტილებას, რომლითაც ადმინისტრაციულ ორგანოს ავალებს, განახორციელოს ეს მოქმედება ან თავი შეიკავოს ამ მოქმედების განხორციელებისაგან.

ზემოაღნიშნული მსჯელობიდან გამომდინარე სასამართლო მიიჩნევს, რომ სადავო ადმინისტრაციულ სამართლებრივი აქტები არ ეწინააღმდეგება საქართველოს კანონმდებლობას და არ არსებობს საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-60¹ მუხლით გათვალისწინებული მათი ბათილად ცნობის და მოპასუხისათვის ინფორმაციის გაცემის დავალდებულების ფაქტობრივი და სამართლებრივი საფუძველი.

7. საპროცესო ხარჯები

მოსარჩელეს გადახდილი აქვს სახელმწიფო ბაუი 100 ლარი (იხ. ს.ფ. 29), რაც უნდა დარჩეს გადახდილად სახელმწიფო ბიუჯეტში, ვინაიდან სარჩელი არ უნდა დაკმაყოფილდეს.

ს ა რ ე ზ ო ლ უ ც ი ო ნ ა ვ ი ლ ი

სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის პირველი, მე-12, 24-ე მუხლებით, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მე-8, 55-ე, 243-ე, 244-ე, 249-ე, 257-ე, 369-ე მუხლებით და

მ ა დ ა ვ ყ ვ ი ტ ა

1. სარჩელი არ დაკმაყოფილდეს;
2. მოსარჩელის მიერ სარჩელის აღძვრისას გადახდილი სახელმწიფო ბაუი - 100 (ასი) ლარი ჩაითვალოს სახელმწიფო ბიუჯეტის სასარგებლოდ გადახდილად;
3. წინამდებარე გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს სააპელაციო საჩივრის შეტანის გზით ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატაში (მის. ქ. ქუთაისი, ნიუპორტის ქუჩა №32) ქუთაისის საქალაქო სასამართლოს მეშვეობით (მის. ქ.ქუთაისი, კუპრადის ქუჩა №11) მხარეთათვის დასაბუთებული გადაწყვეტილების გადაცემიდან 14 დღის ვადაში.

მოსამართლე

გონა აბუსერიძე